ს--მე №2/32319-19

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ს--ართველოს სახელით

12 მარტი, 2020 წელი
ქ.თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის ს--ალაქო სასამართლოს სამოქალაქო ს--მეთა კოლეგია

მოსამართლე: გიორგი მაისურაძე
სხდომის მდივანი: თამუნა ყატაშვილი

მოსარჩელე - მა-----------------ი
წარმომადგენლები - გი---------------------------------ე

მოპასუხე - გე----------------ძე
წარმომადგენელი - ელ-------------ა

დავის საგანი - ალიმენტის გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

მოპასუხე გე----------------ძისთვის არასრულწლოვანი შვილების 2--- წლის 20 ნოემბერს დაბადებული არ-------------------ა და 2--- წლის 14 მარტს დაბადებული ემ-------------------ს რჩენა-აღზრდისთვის ალიმენტის სახით 300-300 ლარის დაკისრება, სარჩელის შეტანის დღიდან, მათ სრულწლოვანებამდე.

მოსარჩელე მა-----------------სა და მოპასუხე გე----------------ძეს ჰყავთ ორი საერთო არასრულწლოვანი შვილი: 2--- წლის 20 ნოემბერს დაბადებული არ-----------------ე

და 2--- წლის 14 მარტს დაბადებული ემ-–----------ძე. 2019 წელს მხარეებს შორის შეწყდა რეგისტრორებული ქორწინება და ბავშვების საცხოვებელ ადგილად განისაზღვრა დედის - მა----------–---ის საცხოვრებელი ადგილი. არასრულწლოვან შვილებს ზრდის და სრულად უზრუნველყოფს მოსარჩელე და მისი ოჯახი. მა----------–---ი, შვილებთან ერთად, ცხოვრობს მშობლების ოჯახში. მოპასუხე, ფინანსურად, არ მონაწილეობს ბავშვების აღზრდაში. იგი ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნკვეთს სა------ს რაიონის სოფელ ს-------

(სარჩელი, 12.03.2020წ. სასამართლო სხდომის ოქმი).

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე გე–----------ძემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო ნაწილობრივ და თანხმობა განაცხადა 75-75 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდაზე, ვინაიდან არის უმუშევარი და არ აქვს სტაბილური შემოსავალი. განქორწინების დღიდან ეხმარება შვილებს ფინანსურად. ბავშვებთან აქვს კარგი ურთიერთობა, დასვენების დღეებში დაჰყავს სასეირნოდ და მაქსიმალურად ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე.

(შესაგებელი, 12.03.2020წ. სასამართლო სხდომის ოქმი).

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. მოსარჩელე მა----------–---–სა და მოპასუხე გე–----------ძეს ჰყავთ ორი საერთო არასრულწლოვანი შვილი: 2--- წლის 20 ნოემბერს დაბადებული არ----------ე და 2--- წლის 14 მარტს დაბადებული ემ-–----------ძე;
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- დაბადების მოწმობები, აქტის ჩანაწერი N0---------- და N0---------- (ს.ფ. 14-15).

3.1.2. მხარეები, მოსარჩელე მა----------–---–ი და მოპასუხე გე–----------ძე ცხოვრობენ ცალ-ცალკე. მათ შორის ურთიერთობა შეწყვეტილია. არასრულწლოვანი არიანა და ემ-–----------ძეები ცხოვრობენ და იზრდებიან დედასთან - მა----------–---–თან;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რომელიც მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია (12.03.2020წ. სასამართლოს სხდომის ოქმი).

3.1.3. სა------ს მუნიციპალიტეტში, სოფელ სპ---–ი, 2275.00 კვ.მ სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით, რეგისტრირებულია გე—----------ძის სახელზე;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ს--ართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 17 დეკემბრის მიმართვა N4----- (ს.ფ. 16).

3.1.4. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის 9 იანვრის მდგომარეობით, მა----------—----ს მიღებული შემოსავალი არ უფიქსირდება;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2020 წლის 10 იანვრის N2--------- მიმართვა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან (ს.ფ. 28).

3.1.5. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის 9 იანვრის მდგომარეობით, გე—----------ძის მიერ მიღებული შემოსავალი შეადგენს 2019 წლის თებერვლის თვეში - 100 ლარს;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2020 წლის 10 იანვრის N2--------- მიმართვა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან (ს.ფ. 28).

3.1.6. მოსარჩელე მა----------—----ი არ მუშაობს. დაკავებულია არასრულწლოვანი შვილების აღზრდით. ბავშვები დადიან საჯარო ბაღში. სექტემბერში, ემ--—----------ძე შედის სკოლაში;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება, რომელიც მოპასუხის წარმომადგენელს სადავოდ არ გაუხდია (12.03.2020წ. სასამართლოს სხდომის ოქმი).

3.1.7. მოსარჩელე მა----------—----ის და მოპასუხე გე—----------ძის კმაყოფაზე სხვა პირები არ იმყოფებიან. მათ არ აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. მოპასუხე გე—----------ძის მშობლები არიან ასაკით პენსიონრები და იღებენ პენსიას;
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტებები (12.03.2020წ. სასამართლოს სხდომის ოქმი).

3.1.8. მოპასუხე გე—----------ძის წინააღმდეგ, ოჯახური ძალადობის ფაქტზე, აღძრულ იქნა სისხლის სამართლის ს--მე, იმყოფებოდა

პატიმრობაში, საიდანაც გათავისუფლდა 2019 წლის 14 თებერვალს და იმყოფება პირობით ვადამდე გათავისუფლებულად;
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტებები (12.03.2020წ. სასამართლოს სხდომის ოქმი).

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. გე—----------ძეს აქვს სესხი სს „ლ----------“ და სს „ს----------—---------—-“. სესხის დაფარვას მოპასუხე ახორციელებს ვადაგადაცილებით;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2020 წლის 12 მარტის ანგარიშის ამონაწერი სს „ლ----------“ (ს.ფ. 78-79);
- 2020 წლის 12 მარტის ანგარიშიდან ამონაწერი სს „ს----------—----------“ (ს.ფ. 80-83);
- მხარეთა ახსნა-განმარტებები (14.03.2020წ. სასამართლოს სხდომის ოქმი).

3.2.2. სასამართლო დადგენილად ვერ მიიჩნევს გარემოებას იმის შესახებ, რომ არ----------ეს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ხშირად უწევს საავადმყოფოში ყოფნა, ხოლო ემილია ხომასურიძე დადის ცეკვის წრეზე;

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ გე—----------ძე არის თვითდასა-მებული და აქვს შემოსავალი. გარკვეული პერიოდით დაკავებული იყო საბითუმო ვაჭრობით, ხოლო ამჟამად მუშაობს ტაქსის მძღოლად;

სასამართლო ვერ გაითვალისწინებს მოპასუხის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ სესხის სახით აღებული თანხა მოხმარდა ოჯახის მიზნებს, კერძოდ, იმ სახლის მშენებლობას, რომელიც მოსარჩელის საკუთრებაშია.

სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხის პოზიციას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მფლობელობაში არსებული ქონება აქვს გაქირავებული, რის შედეგადაც იღებს კარგ შემოსავალს.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, აწესებს მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, თუმცა თითოეული მტკიცებულების შეფასებას, სასამართლოს შინაგან რწმენას უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენა განპირობებულია სუბიექტური კრიტერიუმით, აღნიშნული პრინციპი არ არის შეუზღუდავად უზრუნველყოფილი და უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებათა ყოველმხრივ და სრულ გამოკვლევას. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა

იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია.

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

ამდენად, მართალია სამართალწარმოება საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებში ინკვიზიციური პრინციპით წარმოებს ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, აღნიშნული პრინციპი არ უგულებელყოფს შეჯიბრებითობის პრინციპს. მოცემულ შემთხვევაში, ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე და 103-ე მუხლების თანახმად, ს--მეში არ მოიპოვება მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

3.2.3. სასამართლო სრულად ვერ გაიზიარებს მხარეთა მოსაზრებებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ვინაიდან, აღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას, ისე არასრულწლოვანი ბავშვების რჩენა-აღზრდის ინტერესებს. სასამართლომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვანთა საუკუთესო ინტერესი.

ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით,

წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა ს--მისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ, ვინაიდან, ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას და განკუთვნილია არასრულწლოვანი ბავშვების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის, მშობლების და შვილების რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნა ალიმენტის დაკისრების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

”ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-8, მე-18-ე და 27-ე მუხლები; ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე, 1202-ე, 1212-ე, 1213-ე, 1214-ე, 1215-ე, 1218-ე და 1234-ე მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება

მოსარჩელე მა----------–---მა 300-300 ლარის ოდენობით ალიმენტის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით, რომ მხარეებს ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილები - 2---

წლის 20 ნოემბერს დაბადებული არ----------ე და 2--- წლის 14 მარტს დაბადებული ემ-—----------ძე.

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელე მა----------—სა და გე—----------ძეს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი - 2--- წლის 20 ნოემბერს დაბადებული არ----------ე და 2--- წლის 14 მარტს დაბადებული ემ-—----------ძე. ამჟამად, მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე, მათ შორის ოჯახური ურთიერთობა შეწყვეტილია. არასრულწლოვანი ემილია და არ----------ეები ცხოვრობენ და იზრდებიან დედასთან - მა----------—----—თან, რომელიც არ მუშაობს და არ აქვს შემოსავალი. მხარეები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე.

ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. ამავე კოდექსის 1197-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ.

ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის თანახმად, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი განქორწინებულნი არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1213-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება - მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებულმა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციამ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც - ბავშვები არიან

განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური ობიექტები. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის მიხედვით, ბავშვისათვის ნორმალური განვითარების პირობების შექმნის ძირითადი ვალდებულება ეკისრებათ მის მშობლებს. კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, მის ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს საუკეთესო - ჭეშმარიტ ინტერესებს, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. კონვენციაში უფლებათა იერარქია არ არსებობს, მასში უზრუნველყოფილი ყველა უფლება შეესაბამება „ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს“ და დაუშვებელია რომელიმე უფლების შელახვა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების ნეგატიური განმარტებით (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის N14 ზოგადი კომენტარი ბავშვის უფლებების შესახებ CRC/C/GC/14 2013წ.).

ამავე კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს, ხოლო 27-ე მუხლით აღიარებულია, ასევე, ყოველი ბავშვის უფლება - უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობლებს ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავიანთი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. კონვენციის აღნიშნული ნორმა არასრულწლოვან შვილზე ზრუნვას და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის ვალდებულებას უპირატესად მშობლებს აკისრებს და მათ თანაბრად

ეკისრებათ შვილის რჩენისა და აღზრდის ვალდებულება.

ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის მიხედვით, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ალიმენტის დაკისრებისას მხედველობაში მიიღება ორივე მშობლის მატერიალურ მდგომარეობა, შემოსავლები, რომელსაც ალიმენტზე ვალდებული მხარეები იღებენ, ასევე ითვალისწინებს მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა კანონიერ ინტერესებს.

სასამართლო განმარტავს, რომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მშობლის შესაძლებლობები, ანუ ალიმენტის ოდენობა გონივრულ და სამართლიან შესაბამისობაში უნდა იყოს მშობლის ფინანსურ შესაძლებლობებთან და მისი ცხოვრების გარემოებებსა და მოთხოვნილებებთან. სასამართლომ შეისწავლა როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით დაადგინა, რომ 2020 წლის 9 იანვრის მდგომარეობით, მა----------ს მიღებული შემოსავალი არ უფიქსირდება, ხოლო გე–---------- ძის მიერ მიღებული შემოსავალი შეადგენს 2019 წლის თებერვლის თვეში - 100 ლარს. სასამართლო ითვალისწინებს ასევე იმ გარემოებას, რომ მამას არასრულწლოვან შვილებთან აქვს ხშირი ურთიერთობა, ასეირნებს მათ და მიჰყავს ისინი თავის სახლში.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა მითითებული შეთანხმების მიუღწევლობისას გადაწყვეტილებას, ალიმენტის მოცულობის თაობაზე, მიიღებს სასამართლო. კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენისათვის აუცილებელ მინიმალურ, ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი

მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებანი, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. ამდენად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო აფასებს თითოეული მშობლის მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მშობლის მიერ მისთვის ბავშვის სარჩენად დახმარების აღმოჩენის საჭიროებასა და ობიექტურ შესაძლებლობას. კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებაში მოიაზრება მხარის მოვალეობა, არჩინოს ყველა ის პირი, რომელზე ზრუნვაც მას, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ეკისრება, მის კმაყოფაზე იმყოფება და რჩენას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ მხარეებს არ გააჩნიათ რჩენის ვალდებულებები სხვა პირების მიმართ. რაც შეეხება მოპასუხის სასესხო ვალდებულებებს, სასამართლო ვერ გაითვალისწინებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, ვინაიდან მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურებული გარემოება იმის შესახებ, რომ აღნიშნული სესხის სახით მიღებული თანხა მოხმარდა ოჯახის საერთო ან ბავშვების ინტერესებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საალიმენტო ვალდებულება არის პრიორიტეტული ყველა სხვა ვალდებულებასთან მიმართებით. სასამართლო მიუთითებს იმ სამართლებრივ დანაწესზე, რომ ორივე მშობელი თანაბრად არის ვალდებული უზრუნველყოს არასრულწლოვანის საჭიროებები, მონაწილეობა მიიღოს აღზრდა-განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაში. მშობელთა ვალდებულება - არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, ატარებს უპირობო ხასიათს.

სასამართლო განმარტავს, რომ ალიმენტი წარმოადგენს იმ გარანტირებულ მინიმუმს, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვების რჩენა და მათთვის ცხოვრებისათვის სათანადო პირობების სტაბილურად შენარჩუნება. მშობლის საალიმენტო მოვალეობა უპირატესია სხვა ვალდებულებებთან შედარებით და შრომისუნარიანმა მშობელმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანი შვილების რჩენა-აღზრდა მინიმალური თანხით მაინც. მშობლისაგან მზრუნველობის მიღება განიხილება, როგორც ბავშვების ბუნებითი უფლება და მისი დაცვა მშობლის უპირობო ვალდებულებაა, თუმცა ალიმენტის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ არც ალიმენტვალდებული პირი აღმოჩნდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვების აღზრდის პასუხისმგებლობის უდიდესი ნაწილი მოსარჩელეზეა გადატანილი. მამა აქტიურად არ ან ვერ იღებს მონაწილეობას მათ აღზრდაში. შესაბამისად, მშობლების უფლება-მოვალეობათა, ასევე, მათი ინტერესების დაბალანსებისას, გასათვალისწინებელია, რომ მშობელი, რომელთანაც არ

ცხოვრობს ბავშვი, ალიმენტის დაკისრებისას იტვირთება მხოლოდ ფულადი ვალდებულებით, განსხვავებით მშობლისაგან, რომელთანაც ცხოვრობენ ბავშვი. ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს რა შვილების მოვლასა და აღზრდას, ამ ვალდებულების გამო მეორე მშობელთან შედარებით, გარკვეულწილად იზღუდება, მატერიალური სახსრების მიღება თავისი გამომუშავებით უზრუნველყოს.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას სასამართლო ითვალისწინებს, როგორც არასრულწლოვანი შვილების უფლებას - მიიღონ მშობლისაგან ალიმენტი, ასევე ორივე მშობლის ვალდებულებას - იზრუნონ შვილებზე. ს--მეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ამჟამად, არც ერთ მხარეს არ გააჩნია შემოსავალი. ალიმენტვალდებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამოწვეული ავადმოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანთა საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე.

ამდენად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, მხარეთა რეალური მატერიალური მდგომარეობისა და ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება - მიიღოს ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი მატერიალური სახსრები, ასევე, ბავშვების ასაკის მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა უნდა განისაზღვროს თვეში 120-120 ლარით.

სასამართლო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული ს--მის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას. იქ, სადაც ს--მე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისიწნებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, № 25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - TK and KM v. UK, № 28945/95, 10.05.2001, პარ.72)“ სუსგ №ას-967-916-2015, 15.12.2015წ; სუსგ ას-1141-1061-2017 17.10.2017წ.).

ს--ართველოს სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ

პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, კანონით დადგენილი წესით, ამ უფლების დაკარგვამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან. ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მა----------–----ის მოთხოვნა - გე–---------- ძის მიმართ არასრულწლოვანი შვილების რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხე გე–---- ----------ძეს მისი არასრულწლოვანი შვილების - არ----------ა და ემ–---------- -----ს რჩენა-აღზრდისთვის უნდა დაეკისროს ყოველთვიურად ალიმენტი 120-120 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის დღიდან - 2019 წლის 20 დეკემბრიდან, ბავშვების სრულწლოვანებამდე.

7. საპროცესო ხარჯები

ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ ს--მის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელეები ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე. შესაბამისად, მოსარჩელე ეკატერინე გაფრინდაშვილი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა – ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. ხოლო 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ვინაიდან მოპასუხე **გე–----------ძემ** **სა**რჩელი ცნო ნაწილობრივ, მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 25 (ოცდახუთი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა ს--ართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-8, 49-ე, 53-55-ე, 243-244-ე, 250-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.მა----------–ის (პ/ნ 0----------) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

1.1. გე–----------ძეს (პ/ნ 3----------) არასრულწლოვანი შვილების არ---------- (პ/ნ 0----------, დაბადებული 2--- წლის 20 ნოემბერს) და ემ–----------ს (პ/ნ 0---------, დაბადებული 2--- წლის 14 მარტს) სასარგებლოდ დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად თითოეულ შვილზე 120-120 ლარის, სულ 240 ლარის ოდენობით, რომლის გადახდევინება დაიწყოს სარჩელის აღძვრის დღიდან - 2019 წლის 20 დეკემბრიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე.

1.2.გე–----------ძეს (პ/ნ 3----------) დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 25 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3.გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის ს--ალაქო სასამართლოს მეშვეობით.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე /მისი წარმომადგენელი/, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის ს--ალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე **გიორგი მაისურაძე**